



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №17/52

2017 წლის 28 ივლისი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მუსიკალური გახმოვანებისა და განათების აპარატურის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვის, სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებებთან ურთიერთობის სამსახურისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ მუსიკალური გახმოვანებისა და განათების აპარატურა წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას (სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №107 3.07.2015წ; მიღება-ჩაბარების აქტები №421 28.07.2015წ; №490 18.08.2015წ).

ამასთან, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვის, სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი 2017 წლის 17 ივლისის №მ/391 მოხსენებითი ბარათით ითხოვს ზემოთხსენებული მუსიკალური გახმოვანებისა და განათების აპარატურის სამსახურისათვის სარგებლობაში გადაცემას.

ამდენად, მიზანშეწონილია განხორციელდეს მუსიკალური გახმოვანებისა და განათების აპარატურის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვის, სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებებთან ურთიერთობის სამსახურისათვის სარგებლობაში გადაცემა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მუსიკალური გახმოვანებისა და განათების აპარატურა პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით სამსახურეობრივი სარგებლობის მიზნით გადასცეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვის, სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებებთან ურთიერთობის სამსახურს.

მუხლი 2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია 2017 წლის 28 ივლისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია